

განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კანონით არ არის დარეგულირებული ცალკეული საკითხები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ როგორც სახელმწიფო ქონების პრივატიზების ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცესში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია დარეგულირდეს და განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მის მიერვე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის თვითმმართველი ერთეულის ქონების გადაცემის პროცედურა; ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის პირდაპირი მიყიდვის პირობების დადგენაზე უფლებამოსილი ორგანო და გადაცემის წესი; სარეკრეაციო ტერიტორიებისა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში პრივატიზების წესი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ზუსტდება, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის შესახებ.

კანონპროექტით განისაზღვრება, რომ ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის პირდაპირი მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო – ქ. თბილისის მთავრობა. ამასთან, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების ცალკეული ფორმების, სარგებლობის უფლებით გადაცემის და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული აქციების, წილის მართვის უფლებით გადაცემის წესს ამტკიცებს ქ.თბილისის საკრებულო ქ. თბილისის მერის წარდგინებით. ზუსტდება თვითმმართველი ერთეულისაგან მიყიდველის მიერ შეძენილი მოძრავი ნივთისათვის თანხის გადახდის ვადა რაც ერთ წელს შეადგენს.

კანონპროექტის თანახმად სარეკრეაციო ტერიტორიებისა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში არსებული ქონების პრივატიზება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

10-ე მუხლში შესატანი ცვლილებებით ზუსტდება საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის, გამარჯვებული პირის მიერ თანხის სრულად გადახდის და აუქციონის შედეგების გაუქმების წესი და პირობები.

მე-12 მუხლის დამატების თანახმად საქართველოს მთავრობამ საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს „სარეკრეაციო ტერიტორიებისა და განსაკუთრებული

სამშენებლო რეგულირების ზონებში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

კანონპროექტის არ მოახდენს გავლენას იმ პირები რომლებიც მოექცევიან ამ კანონპროექტის რეგულირების სფეროში.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში არ მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო, არასახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორები არიან - საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ზვიად კუკავა, ლაშა თორდია, გიორგი მელაძე, აკაკი მინაშვილი და ვანო ხუხუნაიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან - საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ზვიად კუკავა, ლაშა თორდია, გიორგი მელაძე, აკაკი მინაშვილი და ვანო ხუხუნაიშვილი.